86 წელი თქვენთან ერთად!

86 წლის წინ, 1933 წლის 2 აპრილს გამოვიდა გაზეთების „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედის, გაზეთ „ჩხარის კოლმეურნის“ პირველი ნომერი. გამოცემის 87-ე წელი.



„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე
მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“
ვახუშტი ბაგრატიონი

თერჯოლა

საზოგადოებრივი გაზეთი • გამოდის 1933 წლიდან • 3 {7008} 3 თებერვარი 2020 წელი • www. Terjola. gov. ge

კორონავირუსი უკან დაიხევს!!!

ახალი წელი ჩვენს მრავალტანჯულ პლანეტაზე გრიპის ახალი, ე.წ. კორონავირუსით შემოვიდა. ვირუსი ჩინეთის უჰანის პროვინციაში აღმოაჩინეს. პირველი დაავადებულები ამ პროვინციის მთავარ ქალაქ, 10 მილიონიან უჰანში დაფიქსირდა.

საინფორმაციო სააგენტოების მონაცემებით ინფიცირებულთა რაოდენობა 1 თებერვლისათვის 8000-ზე მეტია, გარდაცვლილთა რაოდენობამ კი 200-მდე. ამავე სააგენტოს ინფორმაციით, ვირუსით დაინფიცირების 10-10 შემთხვევა უკვე გამოვლინდა ტაილანდში, ჰონკონგსა და სინგაპურში. ავსტრალიაში გამოვლინდა 6 შემთხვევა, კანადასა და აშშ-ში 8, ევროპაში ეს შემთხვევები ჯერჯერობით ერთეულებია.

უჰანის პროვინციაში, სადაც 50 მლნ. ადამიანი ცხოვრობს, ხელისუფლებამ საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა, შეჩერებულია სარკინიგზო და საჰაერო მიმოსვლა ყველა მიმართულებით, დაწესებულია კარანტინი. ჩინელი მეცნიერ-ქიმიკოსები, ფარმაკოლოგები და მედიკოსები უწყვეტ რეჟიმში მუშაობენ ვირუსის შესასწავლად და მისი საწინააღმდეგო ვაქცინის შესაქმნელად. ქალაქ უჰანში სასწრაფოდ შენდება უზარმაზარი საავადმყოფო 2000 პაციენტზე, ინფიცირებულთათვის ახალმა, 1000 ადგილიანმა საავადმყოფომ სულ რაღაც რამდენიმე დღეში დაიწყო ფუნქციონირება ამ პროვინციის 7 მილიონიან ქალაქ ხუანგანში.

ისე როგორც ჩინელი, თუ სხვა ქვეყნების მედიკოსები, ჯერჯერობით ვერც ქართველი მედიკოსები გვთავაზობენ ისეთ განსაკუთრებულ რეკომენდაციებს თუ სამკურნალო საშუალებებს, რომლებიც აგვაცილებენ ამ ვირუსს ან დაინფიცირების შემთხვევაში სრულად განკურნავს ავადმყოფს. საბედნიეროდ, იანვრის მიწურულს გაჟღერდა სასიხარულო ინფორმაცია, რომ ჩინელმა მედიკოსებმა უკვე მიიღეს კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინა, თუმც მისი მოქმედების ეფექტი ჯერ ცხოველებზეა გამოსაცდელი, შემდეგ კი ადამიანებზე. ანტივირუსული ინექციის შესაქმნელად მიღწეულ წინსვლაზე ასევე განაცხადეს ჰონგკონგელმა, ავსტრალიელმა და ამერიკელმა მეცნიერებმა. ხელისუფლებისა და მედიკოსების დიდი ძალისხმევით სიტუაცია იქეთკენ მიდის, რომ რამდენიმე თვეში შესაძლებელი გახდება ეფექტური ანტივირუსის მასიური გამოყენება, რაც მსოფლიოს თავიდან ააცილებს ამ საშიში ვირუსით გამოწვეულ პანდემიას.

ვიდრე ეს მოხდებოდეს, როგორც ჩვენი მედიკოსები გვარიგებენ, უნდა დავიცვათ ის რეკომენდაციები, რომლებიც მათ მიერ გაცემულია ზოგადად გრიპის ვირუსული დაავადების თავიდან აცილების პრევენციისათვის, რაც სანიტარულ-ჰიგიენური წესების დაცვასთან ერთად, საჭიროების შემთხვევაში ექიმთან მიმართვასაც გულისხმობს.

იმედი დავიტოვოთ, რომ, სულ მალე, კორონავირუსი უკან დაიხევს და აუცილებლად დამარცხდება.!

დავითობა

8 თებერვალს მართლმადიდებლური ეკლესია წმინდანად შერაცხული მეფის, დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს აღნიშნავს.



საქართველოს უდიდესი მეფე, დავით IV აღმაშენებელი, 1125 წლის სწორედ ამ დღეს—8 თებერვალს (ძვ. სტ. 25 იანვარს) გარდაიცვალა. მან, ჩვენ, ქართველობას, დაგვიტოვა ქვეყანა ნიკოფსიიდან დარუბანდამდე და ოვსეთიდან არეგაწამდე. „მესიის მახვილად“ წოდებული მეფე დაკრძალულია მის მიერვე აგებულ გელათის მონასტერში. საფლავის ქვას, რომელიც მონასტრის ერთ-ერთი კარიბჭის შესასვლელშია განთავსებული, გადმოცემით, დიდი მეფის ანდერძისამებრ, ყველა შემსვლელმა ფეხი უნდა დაადგას. ქვაზე მისივე სიტყვებით ასეთი წარწერაა გაკეთებული: **„ესე არს განსასვენებელი ჩემი, ესე მთნავს აქა დავემკვიდრო მე“.**

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში

უმრავლესობა საკუთარ თავს ოპონირებს...

2020 წლის სოციალური პროგრამები დამტკიცდა

გარკვეული პერიოდია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს ძირითადი ოპოზიციური ფრთა—საკრებულოს წევრები ნაციონალური მოძრაობიდან და ევროპული საქართველოდან საკრებულოს სხდომებზე ჩვეულ აქტივობებს არ ამჟღავნებენ, უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ რეგისტრირდებიან და ადრევე ტოვებენ დარბაზს, ანუ ისინი გარდა საკრებულოს კომისიებისა, საკითხების განხილვებში მონაწილეობას ფაქტიურად არ ღებულობენ. რა თქმა უნდა, ასეთ შემთხვევებში კონკრეტულ თემებზე ჩვენ ვეღარ ვხედავთ ოპოზიცია-პოზიციის ისეთ დისკუსიებს, როცა ყველაზე სწორი გადაწყვეტილების მიღება უფროა შესაძლებელი... მაგრამ ასე დიდხანს არ გაგრძელებულა. საკრებულოს მორიგი, 22 იანვრის სხდომაზე საკითხების განხილვისას, ნაცვლად ოპოზიციისა უმრავლესობის ერთმა ნაწილმა ისეთი მწვავე ოპონირება მოუწყო მეორე ნაწილს, რომ ძველი ამბები გაგვახსენდა.

☞2

ქალაქ თერჯოლის ცენტრის კეთილმოწყობის სამუშაოები მალე დაიწყება...

როგორც მუნიციპალიტეტის მერიიდან გვაცნობეს, მერიამ, ამ დღეებში, მიიღო ქალაქ თერჯოლის ცენტრის კეთილმოწყობის სპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია. სამუშაოთა მოცულობა სულ 1,8 მლნ ლარს შეადგენს. აქედან, მიმდინარე წელს უნდა შესრულდეს 1,0 მლნ ლარის სამუშაოები.

ტენდერი შესასრულებელ სამუშაოებზე უახლოეს პერიოდში გამოცხადდება.

სიტყვა მოსახლეობას...

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამა—2020“

თერჯოლის მუნიციპალიტეტში ტრადიციულად აქტიურად დაიწყო მზადება მიმდინარე წლის „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ წარმატებით განხორციელებისათვის.

მუნიციპალიტეტის დასახლებებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მიმდინარე წლის 23 იანვრის №45 43 ბრძანებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის ხელმძღვანელობა მერის პირველ მოადგილეს მანუჩარ ფანჩულიძეს დაევალა.

☞2

„მე ცხოვრება ისევ მეძნელება“

☞5

პროფესორი კობა ხარაძე 80 წლისაა—ვულოცავთ!

☞6

სიტყვა მოსახლეობას...

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამა—2020“

1☞

27 იანვარს, სწორედ მისი ხელმძღვანელობით გაიმართა ამ სამუშაო ჯგუფის პირველი სხდომა, რომელსაც ჯგუფის წევრებთან ერთად ესწრებოდნენ მერის წარმომადგენლები მუნიციპალიტეტის სასოფლო ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში.

მერის პირველმა მოადგილემ შეკრებილთ დეტალურად გააცნო მერის ბრძანება, სადაც ზედმიწევნით ვრცლად და ზუსტადაა გაწერილი პროცედურები, რომლებიც უნდა განხორციელდეს საბოლოო მიზნის—კონკრეტულ

სოფლებში, გამოყოფილი თანხების ფარგლებში, განსახორციელებელი პროექტების შერჩევის უზრუნველსაყოფად.

ვიდრე ამას გააკეთებდა, მან ხაზგასმით აღნიშნა, გასული წლის პროგრამის შესასრულებლად გაწეული კარგად ორგანიზებული და ეფექტური მუშაობის თაობაზე, რომელმაც შექმნა შესაძლებლობა სრულად განხორციელებულიყო შერჩეული ყველა ინფრასტრუქტურული პროექტი.

აქვე მივანიშნებთ, რომ გასული წლის პროგრამის ინფრასტრუქტურული პროექტების შერჩევის პროცესს, შემდგომ კი შერჩეული პროექტების შესრულების მიმდინარეობას სისტემატურად და ვრცლად აშუქებდა ჩვენი გაზეთი.

რაც შეეხება ახალი, 2020 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამას, როგორც მანუჩარ ფანჩულიძემ განაცხადა, იგი ფინანსური მოცულობით და პროექტების მიმართულებების მიხედვით პრაქტიკულად იგივე რჩება, რაც 2019 წელს.

ცნობისათვის,—2020 წელს ამ პროგრამისათვის სოფლებზე კვლავ 690,0 ათასი ლარი გადანაწილდება, ხოლო მიმართულებებიდან ამოღებულია მხოლოდ ერთი მიმართულება—ეკლესიების მიმდებარე ტერიტორიებისა და სასაფლაოების შემოღობვა. საერთო კრებებზე მოსახლეობას შესაძლებლობა ეძლევა პროექტების შერჩევა გაითვალისწინოს შემდეგი მიმართულებების მიხედვით:

ა) სასმელი წყლის სისტემები (მათ შორის ჭაბურღილები, წყალსადენები, სათავე ნაგებობები, გამწმენდი ნაგებობები, ჭა და ა.შ.);

ბ) სარწყავი სისტემები;

გ) სანიაღვრე არხები;

დ) ნაპირსამაგრი სამუშაოები;

ე) გზები და გზისპირა მოსაცდელები;

ვ) ხიდები, ცხაურები, ხიდბოგირები, გადასასვლელები;

ზ) გარე განათება;

თ) სკოლების მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობა;

ი) სკოლამდელი დაწესებულებები და შესაბამისი ინვენტარი;

კ) ამბულატორიის შენობები;

ლ) სპორტული ინფრასტრუქტურა, მოედნები და მოედნების ინვენტარი;

მ) სკვერები და სველი წერტილები შესაბამისი ინვენტარით;

ნ) წისქვილების რეაბილიტაცია და შესაბამისი ინვენტარი;

ო) მინი-ჰესები და შესაბამისი რეაბილიტაცია—აღდგენა.

სამუშაო ჯგუფის სხდომაზე, როგორც ჯგუფის ხელმძღვანელის, ისე ჯგუფის წევრების მიერ გამოითქვა არაერთი კონკრეტული მოსაზრება და წინადადება 2020 წლის პროგრამის წარმატებით განხორციელების უზრუნველსაყოფად. მუნიციპალიტეტის საკრებულოს, მისი მაჟორიტარი დეპუტატების პროცესში აქტიურ ჩართვაზე ისაუბრა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ ნოდარ ფანჩულიძემ, სოფლის ადმინისტრაციული შენობების მოწესრიგების აუცილებლობაზე გაამახვილა ყურადღება საფინანსო სამსახურის ხელმძღვანელმა ავთანდილ ურიადმყოფელმა, პროექტების დამსხვილებაზე ისაუბრა ინფრასტრუქტურის სამსახურის ხელმძღვანელმა გოდერძი თურქაძემ, „ერთი ჭიშკრის“ პრინციპით არჩევანის გაკეთების მიუღებლობას გაუსვა ხაზი მერის თანაშემწე გიორგი ამირანაშვილმა, კრებების ორგანიზებულად ჩატარების კონკრეტულ დეტალებზე გააკეთა აქცენტები მერიის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა მანუჩარ რობაქიძემ.

მოსახლეობის კრებები სოფლებში 29 იანვრიდან დაიწყო. იანვრის ბოლომდე, გასულ კვირაში ასეთი კრებები გაიმართა ძევრის, ჩხარის, თუზის, საზანოს თემებში და სოფელ გოგნში.

კრებები 3 თებერვლიდან გაგრძელდა. ამ დღეს პროექტების შესარჩევად იმსჯელა ალისუბნის თემის მოსახლეობამ. შედგენილი გრაფიკის მიხედვით მოსახლეობის ბოლო კრება 11 თებერვალს, სოფელ ზედა სიმონეთში, 12 საათზე შედგება, შემდეგ კი 15 საათზე, სოფელ ქვედა სიმონეთში **(ინფორმაციები სასოფლო კრებებიდან იხილეთ ჩვენი გაზეთის მომავალ ნომერში—რედ.)**.

იმედს ვიტოვებთ, რომ თერჯოლის მუნიციპალიტეტი მიმდინარე წლის „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით გათვალისწინებული პროექტების წარმატებით განხორციელების თვალსაზრისით კვლავაც მოწინავე პოზიციებზე გავა არა მარტო იმერეთის რეგიონში.

დავით შალიკაშვილი

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ იანვარშიც აქტიურად განახორციელა საკუთარი უფლებამოსილება.

გასულ თვეს ჩატარდა ბიუროსა და საკრებულოს მორიგი სხდომა, გაიმართა აპარატის თანამშრომლებთან თათბირი, კომისიებისა და ფრაქციების სხდომები.

საკრებულოს მორიგ სხდომაზე გარკვეული შენიშვნების გათვალისწინებით მხარი დავუჭირეთ საბიუჯეტო ცვლილებებს, ქირავნობის საკითხებს და დავამტკიცეთ 14 სოციალური პროგრამა, რომელთა საერთო ბიუჯეტი 959 000 (ცხრაას ორმოცდაცხრამეტი ათასი) ლარით განისაზღვრა, რაც 165 000 (ასსამოცდახუთი ათასი) ლარით აღემატება წინა წლის მაჩვენებელს.

ამასთან, მივიღეთ ახალი — „მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე შშმ პირთა სარეაბილიტაციო მომსახურების დაფინანსების“ სოციალური პროგრამა, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ 18 წლამდე შშმ პირთა რეაბილიტაციას.

გავაფორმეთ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ფონდ „სოხუმთან“, რომელიც განსაზღვრავს თანამშრომლობის პირობებს, რომლის მიხედვითაც მხარეებმა, ერთობლივი პროექტებით ხელი უნდა შეუწყონ ქალთა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფის საჭიროებების გამოვლენასა და მათი ინტერესების სრულფასოვან ინტეგრაციას ადგილობრივ პროგრამებში;

საკრებულოს წევრებთან ერთად დავესწარი სპორტის სასახლეში გამართულ საშობაო წარმოდგენასა და განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვთა დღის ცენტრ „საპოვნელა“ - ს შემაჯამებელ საახალწლო ღონისძიებას.

ნინო ჯანელიძე,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

უმრავლესობა საკუთარ თავს ოპონირებს...

1☞

იმ სხდომაზე გამართული დისკუსია თუ კამათი, ალაგ-ალაგ განსაკუთრებულად ხმამაღლა, მიკროფონით თუ უმიკროფონოდ ძალზე მწვავედ რომ წარიმართა და რასაც, არც სიტყვა „პოპულიზმი“ დაჰკლებია, განხილვის პროცესის დროში საკმაოდ გაწელვის მიუხედავად, მაინც დადებითი შედეგით დასრულდა.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ საკრებულომ სხდომაზე განხილული 17 საკითხიდან ყველაზე დადებითი გადაწყვეტილება მიიღო, თუმც...

სხდომამ სრულად არ დააკმაყოფილა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი, რომელიც 2020 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში შესატან იმ ცვლილებებს ეხებოდა, რაც გამოიწვია მთავრობის განკარგულებამ და ხარჯვითი ნაწილის კორექტირებამ. ცნობისათვის,—ბიუჯეტში აისახა 2020 წლის 1 იანვრისათვის დარჩენილი ნაშთი 690,0 ათასი ლარი და საქართველოს მთავრობის მიერ სკოლების დაფინანსებისათვის გამოყოფილი თანხა, რითაც მათი ხარჯვის ნაწილში გადანაწილების აუცილებლობა წარმოიშვა.

დეპუტატებმა, მერიის მიერ ამ მიმართულებით წარმოდგენილი 30 პოზიციიდან, 4 პოზიციაზე თანხების ხარჯვას (მერის სარეზერვო ფონდი — დამატებით 70,0 ათასი ლარი, სოფლების ადმინისტრაციული შენობების რემონტი—130,0 ათასი ლარი, ტრანსპორტის შეძენა 120,0 ათასი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თანადაფინანსება—50,0 ათასი ლარი) უარი თქვეს, ვიდრე არ მოხდება გათვალისწინებული თანხების დეტალურად სრულად გაწერა.

საგულისხმოა, რომ განხილული 17 საკითხიდან 14 მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის განკუთვნილი პროგრამა იყო, რომელთაგან ერთ-ერთის **(ახალშობილთა ოჯახების დახმარების პროგრამა**—რედ.) მიღებას მწვავე და ხანგრძლივი კამათის შემდეგ განმეორებითი კენჭისყრაც კი დასჭირდა. საბოლოოდ უმრავლესობის უმრავლესობამ მხარი მერის მიერ წარმოდგენილ პროექტს დაუჭირა. აღსანიშნავია, რომ ამ პროგრამების საერთო ბიუჯეტი 959 000 (ცხრაას ორმოცდაცხრამეტი ათასი) ლარით განისაზღვრა, რაც 165 000 (ასსამოცდახუთი ათასი) ლარით აღემატება წინა წლის მაჩვენებელს.

ამასთან, ამოქმედდა ახალი — „მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე შშმ პირთა სარეაბილიტაციო მომსახურების დაფინანსების“ სოციალური პროგრამა, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ 18 წლამდე შშმ პირთა რეაბილიტაციას.

(პროგრამები იხ. გვ. 3-4)

საკრებულოს სხდომას საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ჯანელიძე ხელმძღვანელობდა. სხდომას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლები, რომელთაგან ყველაზე მეტი შეტევის მოგერიება საფინანსო სამსახურის ხელმძღვანელს, ავთანდილ ურიადმყოფელს მოუწია.

დავით კლდიაშვილი

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2020 წლის სოციალური პროგრამები

დამტკიცებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 22 იანვრის სხდომაზე (განკარგულება №46 3)

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე შშმ პირთა სარეაბილიტაციო მომსახურეობის დაფინანსების 2020 წლის პროგრამა

მუხლი 1. ზოგადი დებულებები:

1. **პროგრამის სახელწოდება:** თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე შშმ პირთა სარეაბილიტაციო მომსახურეობის 2020 წლის პროგრამა.

2. **პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი:** 01 იანვარი 2020 წელი – 31 დეკემბერი 2020 წელი.

3. **პროგრამის ბიუჯეტი:** 10 000 (ათი ათასი) ლარი.

4. **პროგრამის დაფინანსების წყარო:** თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტი.

5. **პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:** თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. პროგრამის მოსალოდნელი შედეგები:

პროგრამის სრულყოფილად განხორციელება ხელს შეუწყობს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე შშმ პირთა რეაბილიტაციას.

მუხლი 3. სამედიცინო მომსახურების დაფინანსების ოდენობა:

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე შშმ პირთა რეაბილიტაცია დაფინანსდეს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან წელიწადში არა უმეტეს 350 (სამასორმოცდაათი) ლარისა.

მუხლი 4. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია:

1. პროგრამით სარგებლობის უფლება აქვს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ პირს.

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის მერიაში წარსადგენი დოკუმენტაცია:

შშმ პირის მშობელი ან მზრუნველი/მხარდამჭერი თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგენს განცხადებას, რომელსაც თან უნდა დაერთოს:

ა) მშობლების ან მზრუნველი/მხარდამჭერის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი ან არასრულწლოვნის რეგისტრაციის ბარათი, ასევე დაბადების მოწმობის ასლი;

ბ) ცნობა, პროგრამით სარგებლობის მსურველი პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა N100).

გ) გასაწევი სამედიცინო მომსახურების ხარჯების მოცულობის განმსაზღვრელი დოკუმენტი (ინვოისი, კალკულაცია) შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან.

დ) შეთანხმება სამედიცინო დაწესებულებასა და პაციენტის წარმომადგენელს შორის (დავალიანების არსებობის შემთხვევაში)

ე) შშმ პირის დამადასტურებელი დოკუმენტი.

ვ) სასამართლო გადაწყვეტილება მზრუნველი/მხარდამჭერის არსებობის შემთხვევაში.

მუხლი 6. სამედიცინო მომსახურების დაფინანსების წესი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას განიხილავს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური და ამზადებს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტს.

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე, სამედიცინო მომსახურების დასაფინანსებელი თანხის ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით სამედიცინო დაწესებულების შესაბამის ანგარიშზე, რასაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახური.

ნინო ჯანელიძე,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

დამტკიცებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 22 იანვრის სხდომაზე (განკარგულება №46 4)

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მარტოხელა მშობლის სოციალური დახმარების 2020 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ

მუხლი 1. ზოგადი დებულებები:

ა. **პროგრამის სახელწოდება:** თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მარტოხელა მშობლის სოციალური დახმარების პროგრამა.

ბ. **პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი:** 01 იანვარი 2020 წელი – 31 დეკემბერი 2020 წელი.

გ. **პროგრამის ბიუჯეტი:** 5000 (ხუთი ათასი) ლარი.

დ. **პროგრამის დაფინანსების წყარო:** თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტი.

ე. **პროგრამის მოსარგებლე ბენეფიციართა სოციალური დახმარების თანხა:** მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე ბენეფიციარზე 50 (ორმოცდაათი) ლარი ყოველთვიურად.

ვ. **პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:** თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება:

მარტოხელა მშობელი არის მარტოხელა დედის ან მარტოხელა მამის სტატუსის მქონე პირი.

მუხლი 3. პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგები:

გაეწიოს და გაუუმჯობესდეს სოციალური მდგომარეობა მარტოხელა დედებს(მამებს).

მუხლი 4. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია:

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირი.

მუხლი 5. დაფინანსების მიღებისათვის საჭირო დოკუმენტაცია:

ა. განცხადება მერის სახელზე;

ბ. დახმარების მიმღები პირის პირადობის მოწმობის ასლი;

გ. ბავშვის დაბადების მოწმობა;

დ. მარტოხელა მშობლის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ე. დახმარების მიმღები პირის პირადი ანგარიში

მუხლი 6. მარტოხელა მშობლის დაფინანსების მიღების წესი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას განიხილავს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური და თანდართული დოკუმენტაციის პროგრამასთან შესაბამისობის დადგენის შემდეგ ამზადებს მერის ბრძანების პროექტს.

2. მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების გამოცემის შემდეგ თანხის გაცემას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

ნინო ჯანელიძე,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

დამტკიცებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 22 იანვრის სხდომაზე (განკარგულება №46 5)

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ფენილკეტონურიით და 18 წლამდე დიაბეტით დაავადებულთა ოჯახების ფინანსური დახმარების 2020 წლის პროგრამა

მუხლი 1. ზოგადი დებულებები:

1. **პროგრამის სახელწოდება:** თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ფენილკეტონურიით და 18 წლამდე დიაბეტით დაავადებულთა ოჯახების ფინანსური დახმარების პროგრამა.

2. **პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი:** 01 იანვარი 2020 წელი – 31 დეკემბერი 2020 წელი.

3. **პროგრამის ბიუჯეტი:** 25 000 (ოცდახუთი ათასი) ლარი.

4. **პროგრამის დაფინანსების წყარო:** თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტი.

5. **პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა სოციალური დახმარების თანხა:** 18 წლამდე დიაბეტით დაავადებული ბენეფიციარის დახმარება თვეში - 100 (ასი) ლარი, ფენილკეტონურიით დაავადებული ბენეფიციარებისათვის თვეში 300 (სამასი) ლარი.

6. **პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:** თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანს წარმოადგენს დიაბეტით დაავადებულ ბავშვთა გაუთვალისწინებელი სამედიცინო მომსახურეობის ხარჯების უზრუნველყოფა და ფენილკეტონურიით დაავადებულთა საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფის ხელშეწყობა.

მუხლი 3. პროგრამის მოსალოდნელი შედეგები:

პროგრამის განხორციელება დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობიდან გამომდინარე ხელს შეუწყობს ფენილკეტონურიით დაავადებულთა სპეციალური კვების პროდუქტების უზრუნველყოფას და 18 წლამდე დიაბეტით დაავადებულ ბავშვთა ჯანმრთელობის მდგომარეობის სტაბილიზაციას.

მუხლი 4. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია:

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ფენილკეტონურიით და 18 წლამდე დიაბეტით დაავადებული ბავშვები.

მუხლი 5. დაფინანსების მიღებისათვის საჭირო დოკუმენტაცია და მისი წარდგენის წესი:

პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარები თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგენენ:

ა) განცხადება ერთ-ერთი მშობლის სახელზე.

ბ) ცნობა შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან ფორმა 100/ა და ცნობა შ.შ.მ პირთა შესახებ.

გ) განმცხადებლის (მშობლის, მეურვის) საბანკო ანგარიში ბანკიდან.

დ) დაბადების მოწმობა, ორივე მშობლის პირადობის მოწმობის ასლი, ან არასრულწლოვანის რეგისტრაციის ბარათი.

ე) სასამართლო გადაწყვეტილება მეურვის არსებობის შემთხვევაში.

მუხლი 6. დაფინანსების ოდენობა და დაფინანსების წესი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას განიხილავს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური და თანდართული დოკუმენტაციის პროგრამასთან შესაბამისობის დადგენის შემდეგ ამზადებს მერის ბრძანების პროექტს.

2. მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების გამოცემის შემდეგ თანხის გაცემას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

ნინო ჯანელიძე,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

დამტკიცებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 22 იანვრის სხდომაზე (განკარგულება №46 6)

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ სახლდაზიანებული მოქალაქეების 2020 წლის დახმარების პროგრამა

მუხლი 1. ზოგადი დებულებები.

1. **პროგრამის სახელწოდება:** თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სახლდაზიანებული მოქალაქეების დახმარების პროგრამა.

2. **პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი:** 2020 წლის 1 იანვრიდან 2020 წლის 31დეკემბრამდე.

3. **პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი 170 000** (ასსამოცდაათი ათასი ლარი) ლარი აქედან:

ა) საცხოვრებელი სახლები, რომლებიც დაზიანების მასშტაბის გამო საჭიროებს გადაუდებელ შეკეთებას ბიუჯეტი განისაზღვროს 70 000 ლარით.

ბ) მცირეფართიანი ინდივიდუალური სახლების მშენებლობის ან/და შეძენის ბიუჯეტი განისაზღვროს 100 000 ლარით.

4. **პროგრამის დაფინანსების წყარო:** თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტი.

5. **პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:** თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია დაეხმაროს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ და მცხოვრებ მოქალაქეებს, რომელთა საცხოვრებელი სახლები დაზიანების მასშტაბის გამო საჭიროებს გადაუდებელ შეკეთებას, ამასთანავე პროგრამა ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის მცირე ფართიანი ინდივიდუალური სახლების მშენებლობას ან/და შეძენას, რომელთა საცხოვრებელი სახლები დაზიანების მასშტაბის გამო ექვემდებარება დემონტაჟს.

მუხლი 3. პროგრამის მოსალოდნელი შედეგი:

პროგრამის სრულყოფილად განხორციელება ხელს შეუწყობს თერჯოლის მუნიციპალიტეტში მცხოვრები სახლდაზიანებული მოქალაქეების საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას.

მუხლი 4. პროგრამით მოსარგებლე მოქალაქეთა კატეგორია:

1. პროგრამის პირველი მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის სარგებლობის უფლება აქვთ თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ან/და მცხოვრებ ყველაზე მძიმე ეკონომიკურ პირობებში მცხოვრებ სოციალურად გაჭირვებულ მოქალაქეებს, რომელთა საცხოვრებელი სახლი დაზიანებულია და საჭიროებს გადაუდებელ შეკეთებას.

2. პროგრამის პირველი მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის სარგებლობის უფლება აქვთ, ყველაზე მძიმე ეკონომიურ პირობებში თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ან/და მცხოვრებ სოციალურად დაუცველ ოჯახებს, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-ს, მათი საცხოვრებელი სახლი დაზიანების ხარისხის მიხედვით საცხოვრებლად უვარგისია და ექვემდებარება დემონტაჟს.

3. მოქალაქის ცხოვრების ფაქტი ცნობით უნდა დაადასტუროს მერის წარმომადგენელმა შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში და აღნიშნულ მოქალაქეს არ უნდა გააჩნდეს სხვა საცხოვრებელი სახლი საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით (წარმოადგინოს ცნობა ქონებრივი მდგომარეობის შესახებ).

4. პროგრამით მოსარგებლე მოქალაქე (ოჯახი) პროგრამით განსაზღვრულ დახმარებას მიიღებს ერთჯერადად.

მუხლი 5. პროგრამით მოსარგებლე მოქალაქეებისათვის გასაცემი ფინანსური დახმარების ოდენობა და მისი გაცემის პირობები:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას თან უნდა ერთვოდეს:

ა) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ბ) შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის და საკრებულოს წევრის წერილობითი რეკომენდაცია;

გ) საცხოვრებელი სახლის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი ან მერის

☞4

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2020 წლის სოციალური პროგრამები

დამტკიცებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 22 იანვრის სხდომაზე (განკარგულება №46 6)

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სახლდაზიანებული მოქალაქეების 2020 წლის დახმარების პროგრამა

3 ☜

წარმომადგენელის მიერ გაცემული ცნობა უძრავი ქონების (დაზიანებული საცხოვრებელი სახლი) ფლობის შესახებ;

დ) საჭიროების შემთხვევაში ანგარიშის ნომერი ლიბერთი ბანკიდან.

2. სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის მცირე ფართიანი ინდივიდუალური სახლების მშენებლობის ან/და საცხოვრებელი სახლის შეძენის შემთხვევაში განცხადებას თან უნდა ერთვოდეს შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნა საცხოვრებლად უვარგისი სახლის დემონტაჟის შესახებ და სოციალურად დაუცველი მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი.

3. ამ მუხლის პირველ და მეორე პუნქტებში მითითებულ განცხადებას შეისწავლის თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შექმნილი კომისია, რომელიც ამოწმებს მოქალაქის საცხოვრებელი სახლის მდგომარეობას, მოქალაქის ოჯახის სოციალურ პირობებს და ადგენს შესაბამის დასკვნას მოქალაქის განცხადების დაკმაყოფილების (რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს მოქალაქისათვის გასაწევი ფინანსური დახმარების ოდენობა) ან მოქალაქის განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

4. კომისიის დასკვნა შემდგომი რეაგირების მიზნით გადაეცემა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურს, რომელიც კომისიის დასკვნის საფუძველზე ამზადებს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტს მოქალაქისათვის ფინანსური დახმარების გაცემის შესახებ ან მოქალაქის განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

5. პროგრამით მოსარგებლე მოქალაქეებს პროგრამის ფარგლებში მიეცემათ არაუმეტეს 1000 (ათასი) ლარის ოდენობის ფინანსური დახმარება.

6. სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის საცხოვრებელი სახლის შეძენა ან/და მცირე ფართიანი ინდივიდუალური სახლების მშენებლობა შესაძლებელია მუნიციპალიტეტის მერიამ კანონით დადგენილი წესით განახორციელოს 35 000 ლარის ფარგლებში.

7. ხანძრის ან სხვა სტიქიური მოვლენის შემთხვევაში კომისიის დასკვნის საფუძველზე, რომელიც შეაფასებს სტიქიური მოვლენის შედეგად მიღებულ ზარალს, პროგრამით მოსარგებლე მოქალაქეებს პროგრამის ფარგლებში შესაძლებელია მიეცეს არაუმეტეს 5000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობის ფინანსური დახმარება.

8. მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების გამოცემის შემდეგ თანხის გაცემას უზრუნველყოფს მერიის საფინანსო სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

ნინო ჯანელიძე,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

დამტკიცებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 22 იანვრის სხდომაზე (განკარგულება №46 7)

უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დროებითი საცხოვრებელი ბინის, ქირით უზრუნველყოფის 2020 წლის პროგრამა

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. **პროგრამის სახელწოდება:** უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დროებითი საცხოვრებელი ბინის, ქირით უზრუნველყოფის 2020 წლის პროგრამა.

2. **პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი:** 1 იანვარი 2020 წელი – 31 დეკემბერი 2020 წელი.

3. **პროგრამის ბიუჯეტი:** 10 000 (ათიათასი) ლარი.

4. **პროგრამის დაფინანსების წყარო:** თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტი.

5. **პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა სოციალური დახმარების თანხა:** თვეში – არაუმეტეს 200 (ორასი) ლარი.

6. **პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:** თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. პროგრამის მიზანი:

1. პროგრამის მიზანია უსახლკარო ადამიანების აღრიცხვა და დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

2. იმ ოჯახების ბინის ქირით უზრუნველყოფა, რომლებმაც გაუთვალისწინებელი გარემოების გამო დაკარგეს საცხოვრებელი და დღემდე იმყოფებიან თავშესაფრის გარეშე.

მუხლი 3. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია:

ა)თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ და ამავე დროს მცხოვრები უსახლკარო ოჯახები, რომლებსაც არ გააჩნიათ სხვა საცხოვრებელი ფართი და რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემეტება 100 000-ს.

ბ) ძალადობის მსხვერპლი პირები.

მუხლი 4. დაფინანსების მიღებისათვის საჭირო დოკუმენტაცია და მისი წარდგენის წესი:

ამ პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარებმა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარადგინონ: ა) განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

გ) საცხოვრებელი ფართობის არქონის დამადასტურებელი დოკუმენტი (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან);

დ) შესაბამის ტერიტორიულ ორგანოში მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლის წერილობითი რეკომენდაცია განმცხადებლის საცხოვრებელი ფართის არქონის შესახებ;

ე) ქირავნობის ხელშეკრულება (არაუმეტეს 6 თვის ვადით);

ვ) გამქირავებლის საბანკო ანგარიში ბანკიდან და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან ქონების საკუთრების შესახებ.

ზ) შემაკავებელი ან დამცავი ორდერი ან/და მომხდარი ფაქტის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი (ძალადობის მსხვერპლის შემთხვევაში).

თ) ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან. (მესამე მუხლის „ა" პუნქტით სარგებლობის შემთხვევაში).

მუხლი 5. დახმარების გაცემის წესი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას განიხილავს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის სამუშაო ჯგუფი.

2. სამუშაო ჯგუფის რეკომენდაციაზე, მერის შესაბამისი გადაწყვეტილების შესრულებაზე პასუხისმგებელია ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური, რომელიც ამზადებს მერის ბრძანების პროექტს.

3. მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების გამოცემის შემდეგ თანხის გაცემას უზრუნველყოფს მერიის საფინანსო სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

ნინო ჯანელიძე,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

დამტკიცებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 22 იანვრის სხდომაზე (განკარგულება №46 8)

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული დიალიზის სახელმწიფო პროგრამას დაქვემდებარებული ბენეფიციარების სოციალური დახმარების 2020 წლის პროგრამა

მუხლი 1. ზოგადი დებულებები:

1. **პროგრამის სახელწოდება:** თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული დიალიზის სახელმწიფო პროგრამას დაქვემდებარებული ბენეფიციარების სოციალური დახმარების პროგრამა.

2. **პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი:** 1 იანვარი 2020 წელი – 31 დეკემბერი 2020 წელი.

3. **პროგრამის ბიუჯეტი:** 50 000 (ორმოცდაათიათასი) ლარი.

4. **პროგრამის დაფინანსების წყარო:** თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტი.

5. **პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა სოციალური დახმარების თანხა:** თვეში –150 ლარი.

6. **პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:** თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგები:

დიალიზის სახელმწიფო პროგრამას დაქვემდებარებული ბენეფიციარების სამედიცინო დაწესებულებაში გადაადგილების და მედიკამენტებით უზრუნველყოფის ხელშეწყობა.

მუხლი 3. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია:

პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორიაა თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირები, რომლებიც პროგრამის ამოქმედების დროისათვის რეგისტრირებული არიან თერჯოლის მუნიციპალიტეტში და ამავდროულად სარგებლობენ დიალიზის სახელმწიფო პროგრამით.

მუხლი 4. დაფინანსების მიღებისათვის საჭირო დოკუმენტაცია და მისი წარდგენის წესი:

ამ პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარები თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგენენ განცხადებას. განცხადებას თან უნდა დაერთოს:

ა) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

ბ) ცნობა (ფორმა 100) დიალიზის სახელმწიფო პროგრამით სარგებლობის შესახებ, შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან.

გ) განმცხადებლის ანგარიშის ნომერი ბანკიდან.

მუხლი 5. მომსახურების დაფინანსების ოდენობა და დაფინანსების წესი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას განიხილავს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური და თანდართული დოკუმენტაციის პროგრამასთან შესაბამისობის დადგენის შემდეგ ამზადებს მერიის ბრძანების პროექტს.

2. მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების გამოცემის შემდეგ თანხის გაცემას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

ნინო ჯანელიძე,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

დამტკიცებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 22 იანვრის სხდომაზე (განკარგულება №46 9)

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ეპილეფსიით ან პარკინსონით დაავადებულ ბენეფიციართა სოციალური დახმარების 2020 წლის პროგრამა

მუხლი 1. ზოგადი დებულებები:

1. **პროგრამის სახელწოდება:** თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ეპილეფსიით ან პარკინსონით დაავადებულ ბენეფიციართა სოციალური დახმარების პროგრამა.

2. **პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი:** 1 იანვარი 2020 წელი – 31 დეკემბერი 2020 წელი.

3. **პროგრამის ბიუჯეტი:** 30 000 (ოცდაათიათასი) ლარი.

4. **პროგრამის დაფინანსების წყარო:** თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტი.

5. **პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა სოციალური დახმარების თანხა:**

პარკინსონით ან ეპილეფსიით დაავადებულ ერთ ბენეფიციარზე 150 (ასორმოცდაათი) ლარი, რომელიც გაიცემა ერთჯერადად.

6. **პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:** თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. პროგრამის მიზანი:

დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობიდან გამომდინარე, პროგრამის მიზანს წარმოადგენს ეპილეფსიით ან პარკინსონით დაავადებულ ბენეფიციარების ყოველდღიური მოხმარების მედიკამენტებით უზრუნველყოფა.

მუხლი 3. პროგრამის მოსალოდნელი შედეგები:

პროგრამის განხორციელება დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობიდან გამომდინარე ხელს შეუწყობს ეპილეფსიით ან პარკინსონით დაავადებულ ბენეფიციართა ჯანმრთელობის მდგომარეობის სტაბილიზაციას.

მუხლი 4. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია:

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ეპილეფსიით ან პარკინსონით დაავადებული პირები.

მუხლი 5. დაფინანსების მიღებისათვის საჭირო დოკუმენტაცია და მისი წარდგენის წესი:

პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარები თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგენენ განცხადებას, განცხადებას თან უნდა დაერთოს:

ა) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

ბ) ცნობა შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან ფორმა 100/ა ან ცნობა შ.შ.მ პირთა შესახებ.

გ) განმცხადებლის საბანკო ანგარიში ბანკიდან.

დ) არასრულწლოვანის შემთხვევაში: დაბადების მოწმობა, ორივე მშობლის პირადობის მოწმობის ასლი, ან არასრულწლოვანის რეგისტრაციის ბარათი, განცხადება ერთ-ერთი მშობლის სახელზე.

ე) ქმედუუნარო პირის შემთხვევაში: გადაწყვეტილება მეურვის დანიშვნის შესახებ.

მუხლი 6. სამედიცინო მომსახურების დაფინანსების ოდენობა და დაფინანსების წესი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას განიხილავს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური და თანდართული დოკუმენტაციის პროგრამასთან შესაბამისობის დადგენის შემდეგ ამზადებს მერის ბრძანების პროექტს.

2.მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების გამოცემის შემდეგ თანხის გაცემას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

ნინო ჯანელიძე,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

P.S. სხვა პროგრამები შემდეგ ნომერში

„მე ცხოვრება ისევ მეძნელება“

მე-18 საუკუნეში მცხოვრები უძველესი წინაპრის „ჯოღორიას“ ნამდვილი სახელი არ იცის. ეჭვობს, როცა ზედმეტ სახელის ახსნას ცდილობ, კარგს არაფერს უნდა ნიშნავდესო და არ ეძიება, რადგან კიდევ ორი საუკუნე არის გასაშიფრი“. წარმომავლობით ვლადიმერ (ლადო) ჭანტურიძე ამაყობს, კარგი ხალხი ყოფილან ლაზისტანიდან—ჭანეთიდან გადმოსახლებული ჭანტურიძეები. გვარი სხვადასხვა დროს გაფანტულა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და ახლა ბევრნი არიან და ნათესაობენ ერთმანეთს. ჭანტურიძეების ერთი ნაწილი ზედა საზანოში დასახლებულა, მათ შორის სისოც, ლადოს უძველესი წინაპარი.

ლადო განათლებული კაცია, ეროვნული სული, ქართული ადათები და წეს-ჩვეულებები მისთვის ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც თვით ცხოვრება. კარგ ოჯახში და კარგ ტრადიციებზე აღიზარდა, მამა ანდრო ჭანტურიძე რაიონში კარგად ცნობილი კაცი იყო. წლების განმავლობაში მუშაობდა კოლმეურნეობის თავმჯდომარედ და ყოველთვის მოწინავე იყო სოფელი, რაიონის ხელმძღვანელობა დიდ პატივს სცემდა. ანდროს აღნაგობა და ჩაცმულობაც ხელს უწყობდა. რესპუბლიკის რომელიმე მაღალი რგოლიდან სტუმარი თუ მოდიოდა, ანდრომ იცოდა აუცილებლად „აზიაცკები“ უნდა ჩაეცვა. პატიოსანი და შრომისმოყვარე ოჯახში აღზრდილმა ვლადიმერმა ისე გაატარა ცხოვრება, რომ მის განვლილ გზას წუნს ვერავინ დადებდა. ყველგან, სადაც კი უმუშავნია: აგრონომად, სასოფლო საბჭოს და კოლმეურნეობის თავმჯდომარედ, ბუნების დაცვის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარედ, მანქანა-საანგარიშო სადგურის უფროსად, ამირანაშვილების სახლ-მუზეუმის დირექტორად თუ ისევ კოლმეურნეობის თავმჯდომარედ, ყველგან ამჟღავნებდა ნიჭსა და უნარს, მაღალ პასუხისმგებლობას და ყოველთვის იყო პატივსაცემ გარემოცვაში.

ლადო ახლა პენსიაზეა. აღარ მუშაობს, არადა მისი განათლების და გამოცდილების გამოყენება კიდევ შეიძლებოდა. არ მუშაობს, მაგრამ მაინც გეგმავს დღეს, ფიქრობს რა შექმნას და იმაზედაც—ვის რა არგოს.

ლადოს ბოლო სამუშაო ადგილი კოლმეურნეობის თავმჯდომარეობა იყო. 1991 წელი იდგა, საბჭოთა სისტემას წყალი შეუდგა და ყველაფერს საბჭოურს „დაშალე ხომ“ „დავადანაშაულე“ კოლმეურნეობის ფუნქციონირების შეწყვეტაში.

„მე მივსდიე საკუთარ იღბალს“

ლადომ მშვენიერ მეუღლესთან, ქეთევანთან ერთად, ოთხი შვილი აღზარდა: ანდრია, პაატა, გვანცა, ლევანი. მშობლები და ბებია-ბაბუა თანაბრად იღებდნენ მონაწილეობას მათ აღზრდაში. ყველაფერი ღირსეული მისცეს მათ, უნერგავდნენ ოჯახის, მეგობრის, მეზობლის, სოფლის, სამშობლოს სიყვარულს. ახლა ვნახოთ რაში და როგორ გამოიხატა ეს ძალისხმევა, ვინ იყო მათი პირველი შვილი და შვილიშვილი...

ანდრია...

ზედა საზანოს საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ გერმანიაში მოიხადა სავალდებულო სამხედრო სამსახური, აქვე, პოსტდამში დაამთავრა უმცროს მეთაურთა სკოლა, იყო უფროსი სერჟანტი. დემობილიზაციის შემდეგ მუშაობა დაიწყო თერჯოლის შ/ს განყოფილებაში, 1992 წელს ჩაირიცხა პოლიციის უმაღლეს სკოლაში, იმყოფებოდა სახელმწიფო დაცვის სამსახურში. იმავე წელს აფხაზეთის ომი დაიწყო, აგვისტოში საჭირო გახდა დამატებითი ძალების გაგზავნა, სხვა კურსანტებთან ერთად ანდრიაც გაიწვიეს. ანდრია პირველი შეტაკებისთანავე დაიღუპა გაგრის მისადგომებთან, სოფელ კოლხიდასთან.

სახელმწიფო მთავრობის მეთაურის ბრძანებით, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი გმირობისა და მამაცობისათვის, ანდრია ჭანტურიძე სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის მესამე ხარისხის ორდენით და მიენიჭა სპეციალური წოდება—პოლიციის ლეიტენანტი.

ეს იყო 1992 წლის აგვისტო—ანდრია კი 21 წლის იყო. მას შემდეგ 28 წელი გავიდა, ანდრო ჭანტურიძე ორმოცდაცხრა წლის გახდებოდა. შემოჯარული იქნებოდა შვილებში და შესაძლოა შვილიშვილებშიც...

რამ შეამსუბუქა ოჯახის ტრაგედია

ლადო: დეიდასთან ვიყავი ბორჯომში. გადაცემა „ქვიშის საათში“ ითქვა აფხაზეთში მსხვერპლიაო. „ისეთი ბედი მაქვს ერთიც რომ იყოს დაღუპული ჩემი იქნებაო“.

მისი აღმოჩნდა!

„ჩემს გვერდით დადგა მთელი რაიონი. ჭირდა მაშინ, ძლივს „შევაკოწიწეთ“ დასაფლავება, ძლივს მოწესრიგდა საფლავი. იმ ადამიანების დიდი ნაწილი, რომელიც მუდამ მეხმარებოდა, დღეს ცოცხალი აღარაა, სამარადისო ნათელი: გოდერძი ხუჯაძეს, თენგიზ ლანჩავას, ზაურ გაბრიჭიძეს, თემურ ბარბაქაძეს, ედიკა თორთლაძეს, კოლმშენის მძღოლს ვინმე „გარინჩას“, მადლობა მათ ოჯახებს, შთამომავალთ. მადლობა ბატონებს: გოდერძი ხუჯაძეს, ავთო შეყრილაძეს, ოლეგ ქოჩიაშვილს და სხვებს.

ხალხმა და მათმა გვერდში დგომამ, შვილებმა და შვილიშვილებმა შემიმსუბუქეს ტრაგედიაო—თქვა ლადომ. შვილიშვილები: ვლადი, ლედი, საბა, ლედი, მეგი, ანდრია, ანი, ჯერჯერობით შვიდნი არიან, თანდათან გამრავლდება ლადოს ოჯახი.

ლადოს გულის ჯიბეში...

ჩამოასვენეს ანდრია და ჩამოიტანეს მისი ნივთები, ტანსაცმელი და სისხლიანი პოლიციის მოწმობა. დღემდე გულის ჯიბეში უდევს ლადოს ეს მოწმობა, იცვლის ტანსაცმელს და გადაადგილებს ამ მოწმობასაც...

* * *

ძლიერები არიან ლადო და ქეთევანი, სიცოცხლე სხვა შვილებისათვის, მათი შვილების, მეუღლეების, შვილიშვილებისათვის გააგრძელეს განუზომელ ტკივილს ანდრიას გმირობის და თავდადების მაგალითები, საფლავი და მისი მოვლა ამსუბუქებდა ტრაგედიას, მაგრამ ოჯახში ისევ გრძელდება ტრადიცია. შობას იკვლება ღორი, ახალ წელს ხორაგით ივსება ძველებური გობი, ნაძვიც ირთვება და ჩიჩილაკიც კეთდება, კვლავ მოდის წინასწარ შეგულებული ე.წ. „გარე“ მეკვლე, მოდის შინაურიც, „სხვაგან“ ღამეგათეული, კვლავ იკვლება მამალი, ცხვება ცხოველ-ფრინველთა მისალოცი, რქა, ბასილი, მტევანი... ყველაფერი ძველებურადაა, სიცოცხლე გრძელდება ვლადიმერ ჭანტურიძის ოჯახში, სიცოცხლე დიდი და ნათელი, აქ არის ტკივილიც, მაგრამ მას თან სდევს სიამაყე, რომ თერჯოლის ცენტრში, პოლიციის მაშინდელი უფროსის თემურ ბარბაქაძის ინიციატივით, გაიხსნა ანდრიას სახელობის სკვერი, რომ ერთ-ერთი ქუჩა მისი სახელობისაა. თან სდევს სიამაყე—გმირი შვილის მშობლობა, და-ძმობა, დისშვილ-ძმისშვილობა... ფიქრი იმაზე, რომ მალე 1500 ძირი ვენახი 2500 გახდება, თხილის პლანტაცია ჰექტრამდე გაიზრდება, ცხვარ-ძროხა გამრავლდება, ფრინველები უთვალავი გახდება. ყურძნის გადამამუშავებელი პირველი მინი ქარხანა სისოს ჰქონია, ლადო ამბობს, რომ მასაც ექნება.

ჟუჟუნა ცხადაძე

ნათლისღება და პატრიარქის ნათლული...

მართლმადიდებელმა სამყარომ 19 იანვარს ნათლისღების უდიდესი დღესასწაული აღნიშნა.

როდესაც იესო ქრისტეს შეუსრულდა ოცდაათი წელი იგი იოანე ნათლისმცემელმა მონათლა. ნათლობის შემდეგ გაიხსნა მის თავზე ცა, ღვთის სული მტრედის სახით გადმოვიდა იესოზე და ციდან მოისმა ხმა მამაღმერთისა—„ესე არს ძე ჩემი საყუარელი, რომელი მე სათნო ვიყავ“ (მათე 3.17).

მართლმადიდებელ ეკლესიაში შვიდი საიდუმლოდან ნათლობას უჭირავს პირველი ადგილი. წმიდა ეკლესია მოციქულების მერე განუწყვეტელად ასრულებს მაცხოვრის მიერ განმტკიცებულ ამ საიდუმლოს, რომლის აუცილებლობა დადგენილია მაცხოვრის მიერ.

სამების საკათედრო ტაძარში უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე წლებია ასრულებს ამ საიდუმლოს—განათლულია ათასობით ყოველი მესამე და შემდეგი შვილი...

ნათლობის მოწმობა №36812

თერჯოლელ მიხეილ გავაშელაშვილის ოჯახში 2019 წლის 14 ივლისიდან საპატიოდ ინახება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის მიერ ხელმოწერილი დიდი ფორმატის დალოცვის ფურცელი და ნათლობის მოწმობა №36812.

დალოცვა

სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა. ღმერთო ძლიერო, ყოვლადწმიდაო სამებაო, დალოცე და ჩვენი ქვეყნის ერთგულ შვილად აღზარდე ნათლული ჩემი გაბრიელ მიხეილის ძე გავაშელაშვილი. მიანიჭე მას სიყვარული შენი და მოყვასისა, მიმადლე მრავალჟამიერი სიცოცხლე და სიბრძნე, სიმრთელე სულისა და ხორცისა, გული წმიდა და სული წრფელი, განცდა თვისთა ცოდვათა და არა განკითხვა ძმისა თვისისა, მიეც თავმდაბლობა და სიმშვიდე, შრომისმოყვარეობა და ერთგულება, მტკიცე და მრავალშვილიანი ოჯახი და პატივისცემა მშობელთა, რათა კეთილი ეყოს და დღეგრძელი იყოს ქვეყანასა ზედა.



უფალო და მეუფეო, დაიფარე ნათლული ესე ჩემი საფარველისა ქვეშე ფრთეთა შენთასა, წარსდევნე მისგან ყოველნი მტერნი და მბრძოლნი მისნი და აცხოვნე სული მისი, ვითარცა სახიერ ხარ და კაცთმოყვარე, ამინ!

სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია II

პროფესორი კობა ხარაძე 80 წლისაა—ვულოცავთ!



ქართული გეოგრაფიული მეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენელს, ჩვენი რაიონის მკვიდრს, გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ კობა ხარაძეს 80 წელი შეუსრულდა.

ბატონ კობას არა მხოლოდ ჩვენი გაზეთის მკითხველი, არამედ სრულიად საქართველოს სამეცნიერო-პედაგოგიური საზოგადოება და მრავალრიცხოვანი სტუდენტი ახალგაზრდობა იცნობს, როგორც ფართო პროფილის მკვლევარს, პედაგოგს, ჟურნალისტს, თავისი ქვეყნისათვის დაუღლელ მოღვაწეს. ჩვენ განსაკუთრებით გვახარებს, რომ მის შემოქმედებაში გამორჩეულ ადგილს იკავებს „ენციკლოპედია ჩხარი“, რომელიც უპრეცედენტო მაგალითია ქართულ სინამდვილეში.

ვულოცავთ იუბილეს!

ბატონო კობა, რვა ათეული წლის სიმძიმის მიუხედავად, ისევ თქვენს სტიქიაში ბრძანდებით. ისევ და ისევ ჭაბუკური ენერგიით იღვწით, ეძიებთ, იკვლევთ, ასაბუთებთ და ფასდაუდებელი მნიშვნელობის წიგნების სახით აწვდით თაობებს.

სტატისტიკოსებს არა გვგონია ზუსტად ჰქონდეთ დათვლილი თქვენი ფუნდამენტური შრომები. მარტო ბოლო 2019 წელს გამოეცით ოთხი სქელტანიანი წიგნი, სადაც დიდი რუდუნებით არის წარმოდგენილი სულ სხვადასხვა პროფილის მეცნიერული და მემუარული ნამოღვაწარი. საიდან, ამდენი ბუნებრივი ძალა, ღმერთმა დიდხანს გაცოცხლოთ. თქვენი შემოქმედება საზოგადოების კუთვნილებაა!

„თერჯოლის“ მკითხველს აქვე ვთავაზობთ თსუ, ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტისა და საქართველოს ალ. ჯავახიშვილის სახელობის გეოგრაფიული საზოგადოების მიერ მომზადებელ სტატიას, რომელშიც ვრცლად და ადამიანური სითბოთია აღწერილი თქვენი სამეცნიერო-საზოგადოებრივი საქმიანობის შესახებ.

გმადლობთ, რომ მისი გაცნობის შესაძლებლობა მოგვეცით.

უზომო პატივისცემით ნუგზარ გამყრელიძე

ღვაწლმოსილი მეცნიერი, ორგანიზატორი, პედაგოგი

დიდია პროფესორ კობა ხარაძის დამსახურება გეოგრაფიულ მეცნიერებასა და განათლებაში, ჟურნალისტიკაში, საზოგადოებრივ-საორგანიზაციო საქმიანობაში. მართლაც რომ ხელხვავიანი მეცნიერია—600 სამეცნიერო, სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომი, მათ შორის, 50 მონოგრაფია, 8 საშუალო და უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელო, მრავალი საგაზეთო წერილი.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის ფიზიკური გეოგრაფიის განყოფილების გამგე, მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი კობა ხარაძე დაიბადა 1939 წლის 17 ოქტომბერს თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხარში, იქვე დაამთავრა საშუალო სკოლა. ერთხანს ჩხარის კრამიტის ქარხანაში მუშაობდა, შემდეგ გაიწვიეს სამწლიან სამხედრო სამსახურში.

კობა ხარაძე 1962 წელს ჩაირიცხა ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში. შრომისმოყვარეობით გამორჩეულმა, წარჩინებულმა სტუდენტმა ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ პედაგოგის რთული და საპატიო მოღვაწეობის გზა აირჩია, მუშაობდა ჯერ წალკის რაიონის სოფელ გუმბათის, ხოლო შემდეგ თეთრიწყაროს რაიონის სოფელ ბოგვის საშუალო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებლად. მეტად ნაყოფიერი გამოდგა მისი პედაგოგიური მოღვაწეობა, მისი, როგორც მოწინავე მასწავლებლის საქმიანობა არაერთხელ იქნა გაშუქებული რაიონულ გაზეთებში.

კობა ხარაძემ 1969 წელს წარმატებით ჩააბარა მისაღები გამოცდები საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის დასწრებულ ასპირანტურაში, მისი ხელმძღვანელის, გამოჩენილი ქართველი გეოგრაფის, მთასვლელის, ვახუშტი ბაგრატიონის და საქართველოს სსრ სახელმწფო პრემიის ლაურეატის, ნიკოლოზ პრჟევალსკის სახელობის ოქროს მედლის ლაურეატის, საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ლევან მარუაშვილის ხელმძღვანელობით ნიჭიერმა და შრომისმოყვარე ახალგაზრდა მეცნიერმა, ღირსეულმა მოწაფემ ვადაზე ადრე (ასპირანტურის დამთავრებამდე) წარადგინა საკანდიდატო სადისერტაციო ნაშრომი—„გეოგრაფიული ცოდნის ისტორია ძველ საქართველოში (X-XVIII სს)“ და წარმატებით დაიცვა 1973 წელს.

ასპირანტურის დამთავრების შემდეგ კობა ხარაძემ იქვე, გეოგრაფიის ინსტიტუტის გეომორფოლოგიის განყოფილებაში განაგრძო მუშაობა უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად, ხოლო 1974 წლიდან—უფროს მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობაზე. მისი სამეცნიერო კვლევის სფერო მოიცავს, ძირითადად, ისტორიული გეოგრაფიის მთელ რიგ საკითხებს, აგრეთვე, გეოგრაფიის ისტორიას, ონომასტიკას, ტურისტულ-საექსკურსიო მიმართულებას და სხვ.

კობა ხარაძემ საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიულ კუთხეებს მიუძღვნა ფუნდამენტური მონოგრაფიები: სერიის—„საქართველოს ისტორიული გეოგრაფია“ ფარგლებში—„შიდა ქართლი“, „ქვემო ქართლი“, „ზემო ქართლი“, „კახეთი“, „აჭარა“, „იმერეთი“.

კობა ხარაძემ 1993 წელს წარჩინებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „საქართველოს ისტორიული გეოგრაფია. ქართლი“.

არაერთი საყურადღებო ნაშრომი მიუძღვნა კობა ხარაძემ ქართული გეოგრაფიული აზროვნების ჩამოყალიბებისა და განვითარების საქმეს. მნიშვნელოვანია მონოგრაფიები—„გეოგრაფიული აზროვნება ძველ საქართველოში“, „XII-XV საუკუნეების ქართველი და უცხოელი მოგზაურები“, „XVII-XIX საუკუნეების ქართველი მოგზაურები“. აღსანიშნავია, ასევე მონოგრაფიები—„ქართველი მოგზაურები, გეოგრაფები, ბუნების მკვლევარნი“ (თანაავტორობით), „ოცდათორმეტი წელი აზიის ქვეყნებში—„რაფიელ დანიბეგაშვილის უჩვეულო მოგზაურობანი“, „სულხან-საბა ორბელიანის გეოგრაფიულ-კარტოგრაფიული მემკვიდრეობა“, „ტიმოთე გაბაშვილის გეოგრაფიულ-კარტოგრაფიული მემკვიდრეობა“, „ათი წელი მოგზაურობაში—იონა გედევანიშვილი“.

კობა ხარაძის კვლევის ძირითად ობიექტს ძველი ტოპონიმების კვლევა შეადგენს, მის მიერ დადგენილ იქნა თითქმის ყველა ნასოფლარის თუ გადარქმეული სოფლის სახელწოდება, რაც ვახუშტი ბაგრატიონის რუკების, წერილობითი წყაროების, მოსკოვის სამხედრო-ისტორიულ არქივში არსებული ხელნაწერების და რუკების შესწავლის და ანალიზის საფუძველზე განხორციელდა. მან თავი მოუყარა 20 ათასზე მეტ ძველ ტოპონიმს და მოამზადა პირველი წიგნი—„საქართველოს ძველი ტოპონიმები“. მასში თავმოყრილი იყო 7000 ძველი ტოპონიმი, რომელიც აღარ იხმარება. სიტყვარს ახლდა ძველი და ახალი შესატყვისები, განსაზღვრული იყო გეოგრაფიული მდებარეობა, ხმარების ქრონოლოგიური საზღვრები, სახელწოდებათა ეტიმოლოგია და სხვ.

წიგნის სამეცნიერო რედაქტორი, პროფესორი ლევან მარუაშვილი წინასიტყვაობაში წერდა: „8 წელი მოანდომა კობა ხარაძემ საქართველოს ძველი ტოპონიმების შეკრებას, განმარტებას და დახასიათებას. მისი დაძაბული შრომის შედეგად მივიღეთ ფრიად საჭირო წიგნი—ჩვენი ქვეყნის გაუქმებულ გეოგრაფიულ სახელწოდებათა ლექსიკონი. კობა ხარაძის წიგნი კეთილსინდისიერი და პატრიოტიზმით სულშთანაბერი შრომის ნაყოფია. ქართველი საზოგადოება ღებულობს სამაგიდო წიგნს, რომელიც შეავსებს ყველა ბიბლიოთეკას—საჯაროდან საოჯახომდე, ვერ წარმომიდგენია განათლებული თანამემამულე ძველი ტოპონიმების განმარტებითი ლექსიკონის გარეშე. მწერალი თუ მეცნიერი, ადმინისტრატორი თუ სახალხო მეურნეობის პასუხისმგებელი მუშაკი, პედაგოგი თუ ტურიზმის მოყვარული კ. ხარაძის წიგნის სახით მეტად სასაგებლო ცნობარს ჰპოვებს“.

სამწუხაროდ, წიგნმა დღის სინათლე ვერ იხილა გამომცემლობა „საქართველოს“ მესვეურთა აბსურდული მოთხოვნის გამო. ავტორს კატეგორიულად მოსთხოვეს წიგნიდან ამოეღო აფხაზეთის ძველი ტოპონიმები, აქაოდა „აფხაზეთის ხელმძღვანელობას გავანაწყენებთო“. ავტორი, ცხადია, ამას არ დათანხმდა, რის გამოც მთელი ტირაჟი ჩაიშალა.

გასულ წელს კობა ხარაძემ გამოსცა წიგნი „ტოპონიმიკური შტუდიები“, რომელიც გამოცემულია ავტორის მიერ წლების განმავლობაში დაბეჭდილი ტოპონიმიკური საკითხები, რომლებიც გამოქვეყნებულია სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში, კრებულებში.

განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ვახუშტი ბაგრატიონის მემკვიდრეობის კვლევა, რასაც კობა ხარაძემ მისი მთელი შეგნებული ცხოვრების დიდი ნაწილი შეალია. მრავალი საინტერესო მასალა მოიპოვა მოსკოვის, სანკტ-პეტერბურგის, თბილისის არქივებსა და ხელნაწერთა ცენტრში, როგორც ბიოგრაფიულ საკითხებზე, ისე მისი ნაშრომების თითოეულ დეტალზე და ქართული გეოგრაფიული, ეთნოგრაფიული და კარტოგრაფიული მეცნიერების ფუძემდებელს მიუძღვნა მონოგრაფია—„უებრო ბუმბერაზი, ვახუშტი ბაგრატიონი“.

ვახუშტი ბაგრატიონის დაბადებიდან 300 წლისთავთან დაკავშირებით, პირველად გამოიცა ვახუშტი ბაგრატიონის „საქართველოს ატლასი“, აგრეთვე „საქართველოს გეოგრაფია“, სამეცნიერო კრებული „ვახუშტი გეოგრაფი“. საიუბილეო დღეების აღნიშვნასა და გამოცემებს, სამეცნიერო და საორგანიზაციო საიუბილეო კომიტეტის მდივანი—კობა ხარაძე თავად უძღვებოდა და თავდადებული შრომით წარმატებით გაართვა თავი. უნდა აღინიშნოს, რომ ვახუშტი ბაგრატიონის „საქართველოს გეოგრაფიის“ ახალ გამოცემას სტრიქონებრივი საძიებელი კობა ხარაძემ დაურთო.

კობა ხარაძემ 2011 წელს გამოსცა ვახუშტი ბაგრატიონის „პოლიტიკური გეოგრაფია, XVIII საუკუნე“. ეს ნაშრომი პირველად დაიბეჭდა.

კობა ხარაძემ დიდი ამაგი დასდო „საქართველოს წითელი წიგნის“ არაორგანული ბუნების ძეგლების განყოფილების შედგენასა და გამოცემას. მეტად საინტერესო და სასარგებლო იყო კობა ხარაძის მიერ „საქართველოს გეოგრაფიული კალენდრების“ სერიის შექმნა: 1986 წელს გამოიცა რვათაბახიანი „საქართველოს გეოგრაფიული კალენდარი“, 1987 წელს—„საქართველოს გეოგრაფიული კალენდარი. არაორგანული ბუნების ძეგლები“, 1989 წელს კი—„ადამიანი და ბუნება“. სამივე კალენდარში მეტად საინტერესო ცნობებია მოცემული და ავტორისმიერ გადაღებული ფოტოებით არის დამშვენებული. 2014 წელს გამოსცა მონოგრაფია „საქართველოს ბუნების ძეგლები“, რომელშიც 300-ზე მეტი ბუნების ძეგლია დახასიათებული, მოცემულია მათი ფოტო სურათები.

ტურისტულ-საექსკურსიო საქმეს მიუძღვნა კობა ხარაძემ ცალკე წიგნად გამოცემული

☞7

„ანდიტრის“ შორსმიმავალი გეგმები...

გასული 2019, როგორც მისი წინა წელი, ფეხბედნიერი გამოდგა შპს „ანდიტრისათვის“. დამფუძნებლები, ადრე უკვე ვაუწყეთ მკითხველს, არიან ეწრელი ძმები ელგუჯა და გრიგოლ ბიწაძეები. იმაზეც ვთქვით, რომ ჩინეთში გამართულ ჩაის საერთაშორისო ფესტივალზე, თერჯოლურმა ბიოჩაიმ ნომინაციაში—„საუკეთესო არომატი“ პირველი ადგილი დაისაკუთრა.

გასულ წელს, გურიაში, „ჩაის გზის“ ეგიდით მოწყობილ კონკურსში „ანდიტრის“ პროდუქციამ კვლავ იმარჯვა და „გრანპრი“ დაისაკუთრა. კეთილი შურით აღივსნენ ფიცხი გურულები, გვეუბნება რედაქციაში სტუმრად მოსული ბატონი ელგუჯა,—როგორ ძამა, ჩაის რეგიონში, სხვა რეგიონმა როგორ უნდა გვაჯობოსო. მაგრამ ფაქტს სად წაუხვალ, როცა მკაცრი ჟიურის წევრები, ხელიდან-ხელში ერთმანეთს აწოდებდნენ ჩვენებურ პროდუქციას სიტყვებით—ნახე, კაცო, ამას რა გემო და არომატი აქვსო.

მაინც რაშია საიდუმლო ამ მიღწევის, ჩვენ მაინც გაგვიმხილეთ, ვთხოვეთ დაინტერესებულებმა. სიამოვნებით: საქმე იმაშია, რომ ჩვენი ჩაის ნედლეული იკრიფება იმ ფართობებში, სადაც ადრე ჩაის პლანტაციები იყო. მათ საქრად აკაციის მწკრივები ერტყა. აკაციის ფოთლები იქცევა ნეშომპალად. ჩაის ფესვები იწოვს მიწიდან მას და ყლორტებში დაგროვილი სინთეზი ქმნის საოცარ სურნელოვან პროდუქტს. არაა იოლი ასეთი ნედლეულის მოპოვება-მოკრეფა, ამიტომ თუ საერთოდ მიღებულია კილოგრამ ნედლეულში 2 ლარის გადახდა, ჩვენ 5 და 6 ლარსაც კი ვიხდით. ამიტომაც სიამოვნებით მოდიან ჩვენთან მკრეფავები, რომელთა რიცხვი უკვე 40-ს გადასცილდა. კმაყოფილებას გამოხატავენ, რომ სხვა რაიონებში აღარ უხდებათ სათბურებში სამუშაოდ წასვლა და აქვე გაუჩინეს ოჯახს შემოსავალი. მათ შორის არიან დასაქმებულები: თავად ეწრიდან, ბარდუბნიდან, ზედა სიმონეთიდან, ახალი უბნიდან და ა.შ.

გეტყვით იმასაც, რომ პატარა, მაგრამ საჩინო მიღწევებმა შორს მიმავალი გეგმები დაგვისახა. აქვს თერჯოლას პოტენციალი, რომ „ჩაის გზამ“ აქ გაიაროს. ჩვენი საწარმო ამ საპატიო საქმეში თავის წვლილს შეიტანს. უკვე მოვახერხეთ ის, რომ შევქმენით მინი ფაბრიკა, აღჭურვილი: საგრეხი, საფერმენტაციო, საშრობი დანადგარებით. ადგილზე ვახდენთ დაფასოებას. ჩვენი პროდუქცია ძირითადად საღდება თბილისში ე.წ. „ჩაის სახლში“ და ქუთაისში. გარკვეული რაოდენობა წაიღეს ჩაის ჩეხმა გურმანებმა (გურიაში კონკურსზე იყვნენ ჩამოსულები). გვთხოვეს მივაწოდოთ რაც შეიძლება მეტი ოდენობით.

პარალელურად დავიწყეთ უფრო დიდი ფაბრიკის მშენებლობა, თუ დახმარება გვექნა და სახსრები მოვიძიეთ, მალე გავმართავთ. აქ მარტო ფაბრიკა კი არა, მინი სასტუმრო იქნება ტურისტებისათვის, ყველა საჭირო ინფრასტრუქტურით. გვაქვს სიახლე, დავიწყეთ იმერული ყველის წარმოება, ჩვენებური რეცეპტით: მოსახლეობიდან შესყიდული რძით ამოყვანილ ყველს ვაძველებთ დახმარება სახელმწიფოდან. შესაბამისად გაიზრდება „ანდიტრის“ პროდუქციის მოცულობა, გაფართოვდება ბაზარიც, თავსაც მეტს ვარგებთ და საერთო საქმესაც.

ყველას მინდა მოგილოცოთ ახალი წელი. ვისურვოთ კვლავ აბიბინებულიყოს თერჯოლაში ჩაის პლანტაციები, ხვავი და ბარაქა ყოფილიყოს თითოეულ ოჯახში.

ჩაიწერა ი. ერაძემ

ექიმის რჩევა მაინც სულ სხვაა

აქა-იქ, ქუჩაში პირბადეაფარებული ადამიანები რომ გამოჩნდებიან ნიშნავს გრიპის ვირუსია შემოპარული! ხოლო ეს თავის მხრივ რასაც ნიშნავს, დიდსაც და პატარასაც, კარგად მოგვეხსენება...

სამედიცინო-სამკურნალო დაწესებულებები, როგორც იტყვიან ფეხზე დგებიან. გაისმის მედიკოსთა რჩევა-მოწოდებები, იწყება საყოველთაო პროპაგანდისტული მუშაობა, რათა ადამიანებმა ყოველდღიურ საქმიანობასთან ერთად—იფხიზლონ, რომ ვერაგმა დაავადებამ არ ხელყოს მათი ჯანმრთელობა და ხიფათს არ გადაეყაროს.

ექიმები კვლავ და კვლავ გვიმეორებენ, რომ დაავადების მოახლოებულ სიმპტომებს სრულ მზადყოფნაში უნდა დავუხვდეთ. პირველ რიგში სასურველია მივიღოთ ვიტამინებითა და მიკროელემენტებით მდიდარი საკვები: ვაშლი, კომბოსტოს მწნილი, ლიმონი, სტაფილო, ფორთოხალი, ინფექციას ხშირ შემთხვევაში წარმატებით უმკლავდება წითელი და მწვანე წიწაკა, შავი პილპილის მარცვლები, თუმცა, ყველაზე ეფექტური მებრძოლი ნიორი გახლავთ. ვიდრე თანამედროვე მედიცინა მეცნიერულად შესწავლილ და პრაქტიკულად გამოცდილ საშუალებათა ნუსხას წარუდგენდა საზოგადოებას, მანამდე ჩვენი მამა-პაპანი და მათი წინა თაობები ნიორის მეშვეობით იცავდნენ თავს. ეს ბუნებრივი ანტიბიოტიკი დღესაც ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას გრიპის წინააღმდეგ ბრძოლაში. სუნის გამო ნუ ვიტყვით უარს მის მიღებაზე.

ეს ჩვენი რჩევაა.

თუმცა... თუ მაინც იგრძენით რაღაც ცუდის მომასწავებელი, სასწრაფოდ მიმართეთ სამედიცინო დაწესებულებას. ექიმის რჩევა მაინც სულ სხვაა!

ნუგზარ იშხნელი

ღვაწლმოსილი მეცნიერი, ორგანიზატორი, პედაგოგი

6 ☞

ტურისტულ-საექსკურსიო მეგზურები: „ჯავახეთი“, „სამშვილდე“, „ბოდორნა“, „ხერთვისიდან ვარძიამდე“, „ხევის ბუნებისა და ხუროთმოძღვრების ძეგლები“, „თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი. ბუნება, წარსული, აწმყო“ და „მარნეულის მუნიციპალიტეტი. ბუნება, წარსული, აწმყო“.

კობა ხარაძემ მონოგრაფიული გამოკვლევა მიუძღვნა ცნობილ მეცნიერებს—„ბუნების უბადლო მკვლევარი“. ლევან მარუაშვილი „კაცი ლეგენდა“—აკადემიკოსი თეოფანე დავითაია“, „დიდი მამულიშვილის ღირსეული ღვაწლი. აკადემიკოსი ალექსანდრე ჯავახიშვილი“, „მისაბაძი პიროვნება, დაუღალავი მკვლევარი. ალექსანდრე ასლანიკაშვილი“, „მიწისქვეშეთის მამაცი მკვლევარი არსენ ოქროჯანაშვილი“, „გეოგრაფიული მეცნიერების მოამაგე. რომან კვერენჩხილაძე“, „ბუნების დაუღალავი მკვლევარი. დავით უკლება“. გამოსცა აგრეთვე „აკადემიკოს თეოფანე დავითაიას სახლ-მუზეუმი (გზამკვლევი)“, „აკადემიკოს ალექსანდრე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმი (ქართულ და ინგლისურ ენებზე)“.

უმაღლეს სასწავლებლებში მისი თანამშრომლობა მეტად ნაყოფიერი აღმოჩნდა. სხვადასხვა დროს ლექციებს კითხულობდა გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში, ქუთაისის და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტებში, წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში—შემდეგ საგნებში: საქართველოს გეოგრაფია, ისტორიული გეოგრაფია, გეოგრაფიის ისტორია, მხარეთმცოდნეობა, ონომასტიკა, სამხედრო გეოგრაფია, კულტურის ისტორია.

კობა ხარაძის აქტიური მონაწილეობით სოხუმის უნივერსიტეტში ჩატარდა ექვსი რესპუბლიკური კონფერენცია—„გეოგრაფიის აქტუალურ საკითხებზე“, რომლის მასალები იბეჭდებოდა სპეციალურ კრებულებში. ხშირად მიჰყვებოდა სტუდენტებს საველე პრაქტიკებზეც, სადაც თავის ცოდნასა და მდიდარ გამოცდილებას უზიარებდა, განსაკუთრებით ისტორიული და ბუნების ძეგლების კვლევისას.

პროფესორ კობა ხარაძის ძალისხმევით და სოხუმის უნივერსიტეტის საქართველოს გეოფრაფიის კათედრის თანამშრომელთა მონაწილეობით შეიქმნა და გამოიცა უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელო „საქართველოს გეოგრაფია“ (პირველი, 1999 წ. და მეორე ნაწილი, 2001 წ.). აგრეთვე სახელმძღვანელოები: „ზოგადი ფიზიკური გეოგრაფია“, „ზოგადი დედამიწის მცოდნეობა“ (ელექტრონული სახელმძღვანელო) მელორ ალფენიძესა და ელიზბარ ელიზბარაშვილთან თანამონაწილეობით, „საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია“ (ავტორთა კოლექტივთან ერთად), „საქართველოს ისტორიული გეოგრაფია“, სახელმძღვანელო უნივერსიტეტის გეოგრაფიის სპეციალობის სტუდენტებისთვის, რომელიც, ჯერჯერობით პირველი და ერთადერთი სახელმძღვანელოა ამ დარგში. არის თანაავტორი საჯარო სკოლის სახელმძღვანელოების—„საქართველოს გეოგრაფია“, IX კლასის სახელმძღვანელო (2008 წ.), „ჩვენი საქართველო“ V კლასის სახელმძღვანელო (2010 წ.).

კობა ხარაძის ხელმძღვანელობით და უშუალო მონაწილეობით შეიქმნა გეოგრაფიის ინსტიტუტში მემორიალური მუზეუმი, აკადემიკოსების ალექსანდრე ჯავახიშვილისა და თეოფანე დავითაიას სახლ-მუზეუმების სოფელ ძევერასა (გორის მუნიციპალიტეტი) და სოფელ ეკში (სენაკის მუნიციპალიტეტი).

გეოგრაფიის ინსტიტუტის დაარსების 50 წლისთავზე, კობა ხარაძემ, შეადგინა წიგნი „ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი“, რომელშიც წარმოჩენილია საქართველოში გეოგრაფიული მეცნიერების ჩამოყალიბება და განვითარება.

ცალკე უნდა აღინიშნოს კობა ხარაძის ჟურნალისტური მოღვაწეობა, რომელიც მეტად ნაყოფიერი გამოდგა. მას სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული აქვს 400-ზე მეტი წერილი მთელ რიგ საკითხებზე.

მრავალი წელი თანამშრომლობდა და ამჟამადაც თანამშრომლობს რადიომაუწყებლობასა და ტელევიზიასთან. ხშირად იღებდა მონაწილეობას გადაცემებში „ბუნების კარი“, „გლობუსი“ და სხვ.

2005 წელს მეცნიერებაში დიდი წვლილისათვის მოხსენიებული არის ამერიკის ენციკლოპედიაში—„ვინ ვინ არის“, რომელსაც გამოსცემს ამერიკის ბიოგრაფიის ინსტიტუტი. აგრეთვე მიანიჭეს 2005 წლის მამაკაცის ჯილდო და დაასახელეს მაძიებლის მრჩეველთა საბჭოს წევრად.

ვახუშტი ბაგრატიონის 300 წლის იუბილესთან დაკავშირებით დაჯილდოებულია ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის მედლით, სულხან-საბა ორბელიანის ევროპაში მოგზაურობის 300 წლისთავთან დაკავშირებით სულხან-საბა ორბელიანის საიუბილეო მედლით, ხოლო 2015 წელს დაჯილდოვდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის მედლით.

ბატონი კობა მთელი ცხოვრება მაღალი პასუხისმგებლობით აქტიურ სამეცნიერო, საზოგადოებრივ და პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა და კვლავაც ერთგულად ემსახურება ქართულ გეოგრაფიულ მეცნიერებას. იგი ჩვეული ენერგიითა და შეუპოვრობით წელგამართული შეხვდა დაბადების 80 წლისთავს. ამის ნათელი დასტურია ის, რომ სულ ახლახან გამოსცა ორი მონოგრაფია: „მარნეულის მუნიციპალიტეტი. ბუნება, წარსული, აწმყო“ და „წარსულის ქრონიკები, მოგონებები“, რომელშიც შთამბეჭდავი ღირსსახსოვარი ამბებია მოთხრობილი.

ვულოცავთ ბატონ კობა ხარაძეს დაბადების 80 წლისთავს და სამეცნიერო, პედაგოგიურ და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ნახევარსაუკუნოვან იუბილეს. ვუსურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ახალ შრომით წარმატებებს ქართული მეცნიერების საკეთილდღეოდ.

თსუ, ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი, საქართველოს ალ. ჯავახიშვილის სახელობის გეოგრაფიული საზოგადოება

ნორჩი „ხელოვანები“ დიდ სცენაზე...

კერძო სკოლა „მზეკაბანი 2007“-ის არც თუ ისე ხანგრძლივი არსებობის მანძილზე არაერთი მნიშვნელოვანი წარმატების მომსწრე გამხდარა არა მხოლოდ თერჯოლის, არამედ სრულიად საქართველოს საზოგადოება. იყო ეს რაიონის თუ ქვეყნის მასშტაბით გამართული სასწავლო ოლიმპიადები, კონკურსები თუ ინტელექტუალური თამაშები.

სკოლას ნამდვილად აქვს საამაყო აგრეთვე კურსდამთავრებულთა მიერ ეროვნულ გამოცდებში, ასევე უმაღლეს სასწავლებლებში სწავლისას მათ მიერ მოპოვებული წარმატებების გამო.

„მზეკაბანში“ დიდ ყურადღებას უთმობენ მოსწავლეთა „ხელოვნებასთან ზიარებას“, მათ მხატვრულ-შემოქმედებით საქმიანობაში ჩაბმას, რაც ხელს უწყობს ბუნებრივია ახალგაზრდების ესთეტიკურ და ზნეობრივ სრულყოფას, თავისუფალი დროის მიზნობრივად გამოყენებას.

გასულ წელს ამ სკოლის მოსწავლეთა თეატრალური სტუდიის მუსიკალური სპექტაკლი „არლეკინის ჯადოსნური ღამე“, რომლის პრემიერა აპრილში გაიმართა, მრავალმა ჩვენმა თანამემამულემ ნახა და მოიწონა. „მზეკაბანი“ სწორედ ამ სპექტაკლით წარსდგა მაყურებელთა წინაშე ქალაქ თბილისში, მოსწავლეთა თეატრალური კოლექტივების, „მაჩაბელას“ სახელწოდების ფესტივალზე. ფესტივალის ბოლო აკორდი სწორედ მათი სპექტაკლი იყო, რომელიც მაყურებელთა აპლოდისმენტების ფონზე მიმდინარეობდა. ფესტივალი დაიხურა, წარმატება გარდაუვალი იყო, თუმცა წარმოდგენის შემდეგ ყველანი მოთმინებით ელოდებოდნენ ჟიურის გადაწყვეტილებას. ერთი საათნახევრის შესვენების შემდეგ კი ჟიური ფესტივალის შედეგებს აცხადებს:

„ყველაზე ფერადი, ყველაზე მხიარული და ყველაზე მუსიკალური ბავშვები „მზეკაბანი-2007“.



დან“, ამ სიტყვებით მოიხმო ჟიურის თავმჯდომარემ „მზეკაბანი—2007“-ის პატარა მსახიობები სცენაზე და ეს უკვე ნიშნავდა გამარჯვებას.

დიახ, რამდენიმე წუთში, ცხადი ხდება, რომ თერჯოლელმა სცენის „ვარსკვლავებმა“ მოხიბლა მაყურებელი, ჟიური და შედეგიც შესაბამისი დადგა. კონკურსის ყველა მონაწილეს გადაეცა შესაბამისი სიგელი, ხოლო დიპლომებით დაჯილდოვდნენ ის მოსწავლეები, რომელთა სამსახიობო ნიჭმა და სასცენო ოსტატობამ მოხიბლა ფესტივალის ჟიური. ამ მხრივ თერჯოლელებს ბადალი არ ჰყავდათ, ანუ ნომინაციების მიხედვით ჯილდოები ასე გადანაწილდა.

ნომინაციაში „საუკეთესო რეჟისურა“ გამარჯვებულია და დიპლომით დაჯილდოვდა სპექტაკლის რეჟისორი, სცენარის ავტორი და მუსიკალური ხელმძღვანელი ნატა ცხადაძე.

ნომინაციაში „საუკეთესო მუსიკალური სპექტაკლი“ დიპლომით დაჯილდოვდა სკოლა „მზეკაბანი-2007“.

ნომინაციაში „საუკეთესო ქორეოგრაფიისათვის“ დიპლომით დაჯილდოვდა მოცეკვავე და სპექტაკლის ქორეოგრაფი დეო ნაბახტეველი.

ნომინაციაში „მაყურებლის სიმპათია“ გაიმარჯვეს ანა ცხადაძემ და გვანცა ქარქაშაძემ.

მაყურებელი და ჟიური მოხიბლა ნიკა და ლიკა გურულების მიერ შესრულებულმა ქორეოგრაფიულმა ნომრებმა. მათ გაიმარჯვეს ნომინაციაში „საუკეთესო დუეტი“.

ჟიურიმ დააჯილდოვა აგრეთვე კიდევ ერთი წყვილი—ნატალი ხოშტარია და ნუცა ნოზაძე, რომლებმაც ასევე გაიმარჯვეს ნომინაციაში „საუკეთესო დუეტი“.

ნომინაციაში „მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის“ გაიმარჯვა და დიპლომი გადაეცა ომარ რობაქიძეს.

ნომინაციაში „სახასიათო როლის საუკეთესო შემსრულებელი“ გამარჯვებულია მარიამ გეწაძე, ხოლო მეორეხარისხოვანი როლის საუკეთესო შემსრულებლის დიპლომი გადაეცა მარიამ მაკარიძეს.

ასე რომ, სპექტაკლის მონაწილე არც ერთი გმირი არ დარჩენილა ნომინაციის გარეშე. ეს იყო ნამდვილი გამარჯვება რეჟისორისა, მსახიობებისა და ყველა მათი გულშემატკივარისა.

სკოლას გადაეცა სპეციალური პრიზი, რომელმაც უკვე დაიკავა საპატიო ადგილი სკოლის სხვა ჯილდოთა შორის...

ამით არ დამთავრებულა ყველაფერი.

დეკემბერში „მზეკაბანის“ პატარა მსახიობები მიიწვიეს ქუთაისის სასკოლო თეატრების საერთაშორისო ფესტივალზე „N-ოვაცია 2019“. ამჯერად ისინი ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის ოპერის თეატრის დიდ სცენაზე წარსდგნენ მაყურებლის და ისეთი კომპეტენტური ჟიურის წინაშე, რომლის შემადგენლობაში იყვნენ: ნიკა წულუკიძე, თეატრმცოდნე, პროფესორი, ტელეწამყვანი; მაია დათუნაშვილი—მუსიკათმცოდნე; სოფია პატარაია—განათლების სამინისტროს წარმომადგენელი, ვაჟა ჯუღელი—ა(ა)ის გაერთიანების ხელმძღვანელი; ლევან როხვაძე—ქუთაისის თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე; კახა მიქიაშვილი—თავისუფალი თეატრის მსახიობი; თეკლა მარჯანიშვილი, გორის თეატრის წამყვანი მსახიობი.

მუსიკალური სპექტაკლი „არლეკინის ჯადოსნური ღამე“ და საოცარი შემსრულებლები ძალიან მოუხდნენ სცენას, მათ პირველი წუთებიდანვე მიიქციეს ყურადღება და ასე გაგრძელდა წარმატებულ ფინალამდე.

სპექტაკლს განსაკუთრებული ხიბლი შესძინა „მზეკაბანის“ IX კლასის მოსწავლის ანი ანაკიძის ვიოლინოზე შესრულებულმა რამდენიმე მუსიკალურმა ნომერმა.

ოპერის თეატრის სცენაზე გამოსვლა და ამასთან, მუსიკალური სპექტაკლის შესრულება ადვილი ნამდვილად არ იყო, ბუნებრივია ღელავდნენ მსახიობები, რეჟისორი, სკოლის ხელმძღვანელობა და გულშემატკივრები. თუმცა, „მზეკაბანის“ „თეატრალებმა“ ეს შესანიშნავად შეძლეს... ამაზე მეტყველებს შეფასებები, რომელიც სპექტაკლის დასასრულს ჟიურის გამოსვლებიდან გაჟღერდა. აი, მოკლე ამონარიდები მათი შეფასებებიდან:

„საოცარი კულტურა, სიფაქიზე და დისციპლინა მთელი სპექტაკლის განმავლობაში“...

„არაჩვეულებრივი მუსიკალური გაფორმება და ქორეოგრაფია“...

„სხვა დროსაც აღგვინიშნავს და ახლაც ვამბობთ, რეგიონებში არაჩვეულებრივად ნიჭიერი ბავშვები იზრდებიან“...

„დახვეწილი და სწორი მეტყველება სპექტაკლის ყველა მონაწილისა“...

„აქ არ იყო განსხვავება მთავარი და მეორეხარისხოვანი როლების შემსრულებელთა შორის“...

და ბოლოს: „ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა“...

აი, ასე გაართვეს თავი თავიანთი როლების შესრულებას პატარებმა. ჟიურის საბოლოო სიტყვა კი 22 დეკემბერს დასკვნით საღამოზე გამოცხადდა. ფესტივალიდან ამჯერად 5 დიპლომი წამოიღო „მზეკაბანმა“.

—ნომინაციაში წლის საუკეთესო მიუზიკლი, გამარჯვებულია „არლეკინის ჯადოსნური ღამე“, დაჯილდოვდა „მზეკაბანი“;

—ნომინაციაში „საუკეთესო რეჟისურა“ დაჯილდოვდა სპექტაკლის მთავარი ფიგურანტი, ნატა ცხადაძე;

—საუკეთესო ქორეოგრაფიისათვის დაჯილდოვდა დეო ნაბახტეველი;

—ჟიურის წევრის მაია დათუნაშვილის რჩეული გახდა მსახიობი გოგონა, ლელიოს როლის შემსრულებელი ნუცა ნოზაძე;

—ნომინაციაში „ორგანიზატორების რჩეული პედაგოგი“—მონაწილე სკოლებიდან დასახელდა სულ 4 პედაგოგი, მათ შორის „მზეკაბანი-2007“-ის ხარისხის მართვის მენეჯერი აზა მემანიშვილი.

სპექტაკლის წარმატება განსაზღვრა თეატრალური სტუდიის, რეჟისორის, მასში მონაწილე თითოეული მონაწილის პროფესიონალიზმმა და ნაყოფიერმა და მაღალი პასუხისმგებლობით მუშაობამ.

სკოლა მადლობას უხდის ფესტივალის ორგანიზატორებს, ჟიურის, მადლობას უხდის რეჟისორს, ქორეოგრაფს და პატარა მსახიობებს...

მადლიერებას გამოხატავს აგრეთვე მუნიციპალიტეტის მერისა და საკრებულოს ხელმძღვანელების მიმართ თანადგომისა და გაწეული დახმარებისათვის...

მზია ცქიფურიშვილი

შპს „თერჯოლა“

გამომცემელი
ვალერიან გოგიაშვილი
599 92 49 75

მთავარი რედაქტორი
დავით კლდიაშვილი
599 91 24 14

სარედაქციო კოლეგია

რეგისტრაციის №53/5/ბ-22

გამოდის თვეში ორჯერ

კორესპოდენტები:
ნ. გამყრელიძე—555 78 08 55
ი. მარუაშვილი—0(491) 22 15 16
ჟ. ცხადაძე—558 90 82 55
მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41

ელ-ფოსტა: **gazetiterjola@mail.ru**

აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში

მისამართი:
თერჯოლა, კოსტავას ქუჩა №2

დაიბეჭდა ქუთაისის შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში
ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. №33

ჩვენი რეკვიზიტები:
„ლიბერთი ბანკი“
LBRTGE22,
ანგარიში
GE32LB0113133960124000
ს/კ 231948872